

ეკონომიკა

ანტიკური რომის ეკონომიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

ბესიკ ბოლქვაძე

ელ.ფოსტა: besik.bolkvadze@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ანტიკური რომის განვითარებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილებისა და განვითარებული სამართლებრივი სისტემის პარალელურად, მძლავრ ზიძეს აძლევდა არსებული ეკონომიკური სისტემა და მისი შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობები, რამაც მთლიანობაში ძველი რომი საუკუნეების განმავლობაში აქცია ზესახელმწიფოდ. სწორედ ამიტომაც, აღნიშნული თვალსაზრისით, დღესაც კი მზარდ სამეცნიერო ინტერესს იწვევს იმ მაგისტრალური მიმართულებების შესწავლა-ანალიზი, რომლებსაც ეფუძნებოდა რომის ეკონომიკის ფუნქციონირება, ანტიკური პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებების გათვალისწინებით. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემასთან პარალელების გავლება.

საკვანძო სიტყვები: ანტიკური რომი, კოლონატი, ნექსუსი, პროსკრიპცია, დინარი, ერარიუმი, მენსარიუსი, არგენტარიუსი.

შესავლის მაგიერ. რომის სახელმწიფოს ისტორიაში, როგორც ცნობილია, გამოიყოფა სამი ეტაპი: მეფეთა ხანა (ძვ. წ. 753 – 510 წწ.) [რომის სამეფო], რესპუბლიკის ხანა (ძვ. წ. 510 – 44/27 წწ.) [რომის რესპუბლიკა] და იმპერატორთა ხანა (ძვ. წ. 44/27 – ახ. წ. 476 წწ.) [რომის იმპერია]. სამივე პერიოდის განმავლობაში ეკონომიკა ვითარდებოდა სახელმწიფო წყობისა და სამართლებრივი სისტემის მდგომარეობის შესაბამისად. ინსტიტუციურად, კონსულებთან, სენატთან და სხვადასხვა ეტაპზე სახალხო კრებებთან (comitia curiata/centuriata/tributa) ერთად, მაგისტრატებს ანუ უმაღლესი თანამდებობის პირებს ეკონომიკის მიმართულებით წარმოადგენდნენ კვესტორები (quaestores) და ცენზორები (censores). კვესტორებს, სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად, ძირითადად საფინანსო საქმეების განმგებლობა და ხაზინის მართვა ევალებოდათ, რომელიც სატურნის ტაძარში იყო განთავსებული. მათ თავდაპირველად კონსულები ნიშნავდნენ, ხოლო მოგვიანებით სახალხო კრება ირჩევდა. ამასთან, კვესტორებს არ ჰქონდათ სახელმწიფო ფინანსების განკარგვის უფლება სენატის დადგენილების გარეშე, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებსაც უშუალოდ კონსულები გაწევდნენ. სენატი, ამავე დროს, განსაზღვრავდა სახელმწიფო ხარჯების პრიორიტეტულ მიმართულებებს, მათ შორის სამხედრო ბიუჯეტისა და საზოგადოებრივი პროექტების დაფინანსებას, რაც მას პირდაპირ აკავშირებდა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასთან. რაც შეეხება ცენზორებს, მათ ევალებოდათ მოქალაქეთა ქონების შეფასება, მათი კლასებად დაყოფა და მთლიანი სახელმწიფო ქონების განკარგვა. ჯერ კიდევ ძვ. წ. 495 წელს შემოღებულ იქნა ე.წ. ტრიბები ანუ გადასახადების ასაკრეფი ტერიტორიული ერთეულები, რომელთაც მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდათ ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში.

ძირითადი ნაწილი. ეკონომიკის მთავარ დარგებს წარმოადგენდა მიწათმოქმედება და ვაჭრობა. მიწათმოქმედების განვითარებას ხელს უწყობდა ნაყოფიერი მიწები და დაპყრობითი

ომები. ხშირი იყო მიწის იჯარით გადაცემა, რომაული ტერმინოლოგიით – კოლონატი, რითაც ძირითადად ომების შედეგად შემოერთებული ქვეყნების ტერიტორიებზე დასაქმებული ადამიანები სარგებლობდნენ. მიწის მოიჯარე (colonus) დამოკიდებული იყო მიწის მესაკუთრეზე, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა „ფერმერულ“ საქმიანობას და გადასახადების გადახდას, რაც წარმოადგენდა მიწის რენტას ფულით ან ნატურით. გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში მიწათმფლობელები კოლონებს ართმევდნენ წარმოების საშუალებებს. აგრარულ სფეროსთან დაკავშირებით ცნობილია ლიცინიუსისა და სექსტიუსის კანონპროექტი (ძვ. წ. 376 წ.), რომლის ფარგლებშიც დაწესდა საზოგადო მიწებზე (ager publicus) განსაზღვრული ნორმა, რომლის ზემოთაც ის გადაეცემოდა ღარიბ მოსახლეობას. გაცილებით გვიან (ახ. წ. II საუკუნე) მიწის ფრაგმენტაციისადმი ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებდა ძმები გრაქქუსების აგრარულ რეფორმათა პაკეტი. მათი რეფორმები მიზნად ისახავდა მიწების მცირე და საშუალო მესაკუთრეთა კლასის გაძლიერებას, რათა შემცირებულიყო ურბანული პლებსის ეკონომიკური უკმაყოფილება და შეძლებისდაგვარად აღმოფხვრილიყო სოციალური დაძაბულობა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მეფეთა ხანაში დაიყო რომის სახელმწიფოს მოსახლეობა სოციალურ ფენებად. ძირითად დაპირისპირებულ კლასებს რომის მთელი ისტორიის განმავლობაში წარმოადგენდნენ პატრიციუსები (patricii) და პლებსი (plebs/plebes).¹ მეფობის ხანაში და რესპუბლიკის პირველ პერიოდში პატრიციუსები მდიდრდებოდნენ, ხოლო პლებსი ღატაკდებოდა, რადგან მათ არ გააჩნდათ საკმარისი მიწის ნაკვეთები. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ მიწის დიდი ნაწილი გამოიყენებოდა მესაქონლეობის მიზნით, რაც მიწის ფონდის შეზღუდვას განაპირობებდა და ძირს უთხრიდა დაბალი კლასების ეკონომიკურ საფუძველს. შესაბამისად, ხშირად ისინი იძულებული იყვნენ, სესხი აეღოთ წარჩინებულთაგან, რის გამოც ექცეოდნენ მათ სავალო კაბალაში (mancipium). ასეთ პირს ეწოდებოდა „ნექსუსი“ (nexus) ანუ ფიზიკური პირი, რომელიც ვალდებული იყო ვალის დაუფარაობის შემთხვევაში ემუშავა კრედიტორის სასარგებლოდ ან გამხდარიყო მისი მონა.² პირველ შემთხვევაში, დაკაბალებული პირი ინარჩუნებდა თავისუფლებასა და სამოქალაქო უფლებებს, ხოლო ქონებრივად ის მონის მსგავსად დამოკიდებული იყო თავის ბატონზე. ნექსუსის ინსტიტუტი გაუქმდა ახ. წ. 326 წელს ე.წ. პეტელიუს-პაპირიუსის კანონით (Lex Poetelia Papiria). აღსანიშნავია, რომ რომის სახელმწიფოს ძირითად სამუშაო ძალას შეადგენდნენ მონები, რომლებიც გაიგივებულნი იყვნენ ნივთთან (instrumentum vocale). მათ შრომას ფართოდ იყენებდნენ სოფლის მეურნეობაში, ხელოსნობაში, მღაროებში, საზოგადოებრივ საქმეებსა და შინამეურნეობებში.

რომის სახელმწიფოში ადრეულ ეტაპზე არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს გარკვეულწილად არეგულირებდა უძველესი სამართლებრივი ტრაქტატი – ე.წ. „12 დაფის კანონები“ (Leges XII Tabularum), რომელიც შედგენილია ძვ. წ. V საუკუნეში და, სხვა საკითხებთან ერთად, ეხება ისეთ ეკონომიკურ კატეგორიებს, როგორიცაა: ფასი, პროცენტი, ვალი და სხვ. მაგალითად,

¹ დროთა განმავლობაში, რომაული სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად, საზოგადოების სოციალურმა სტრუქტურამ უფრო კომპლექსური და დიფერენცირებული სახე მიიღო და, შესაბამისად, გამოიკვეთა ახალი სოციალური შრეები. კერძოდ, რესპუბლიკური და შემდგომ იმპერიული ეპოქის განმავლობაში პატრიციუსებთან და პლებსთან ერთად გამოიყოფოდა სხვა ჯგუფებიც: მონები (servi), კლიენტები (clientes), ნობილები (nobiles), ეკვიტები (equites) და სხვანი.

² ნექსუსის ფარგლებში გამსესხებელს ჰქონდა ფართო უფლებები, კერძოდ, მას შეეძლო თავისუფლება აღეკვეთა მოვალისათვის, ვალის ამოღებამდე გაემწესებინა იძულებით სამუშაოზე და დაესაჯა სიკვდილითაც კი.

აღნიშნული კანონის მიხედვით, დადგენილი იყო, რომ გამყიდველიდან მეორე პირზე გადაცემული ნივთი მყიდველის საკუთრება იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ ის გამყიდველს გადაუხდიდა შესაბამის საზღაურს ან უზრუნველყოფდა მის დაკმაყოფილებას სხვაგვარად – თავდები პირის წარდგენით ან გირაოს გადაცემით. კანონით იყო განსაზღვრული სესხებთან დაკავშირებული სარგებლის გადახდის საკითხიც. კერძოდ, ხსენებული კანონის მიხედვით, არავის უნდა აეღო გაცემული სესხის სანაცვლოდ თვეში ერთ პროცენტზე მეტი სარგებელი, რადგან მანამდე მდიდართა ფენა მაღალ საპროცენტო განაკვეთებს უწესებდა მსესხებლებს. ამასთან, ცალკე თავი ეთმობა კრედიტორებსა და მოვალეებს შორის ურთიერთობას. თავდაპირველად მოვალეს ეძლეოდა გარკვეული საშეღავათო ვადა, რომლის განმავლობაში ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, თუ მას რამდენიმე კრედიტორის ვალი ემართა, მესამე საბაზრო დღეს კრედიტორებს უფლება ჰქონდათ, მოვალე პირი სიკვდილით დაესაჯათ.

გარდა ზემოხსენებულისა, არსებობდა ასევე გაკოტრებული მოვალის ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის პრაქტიკა წერილობითი განცხადების საფუძველზე, რასაც პროსკრიპცია³ ეწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი რომის სახელმწიფოს არც ვალების მართვის საკითხისათვის აუვლია გვერდი, რაც სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა რეგულაციით წესრიგდებოდა და ეხებოდა ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ვალების ჩამოწერა ან შემცირება,⁴ ვერცხლით აღებული ვალის სპილენძით გასტუმრება⁵ და ა.შ.

რომის ეკონომიკისათვის უცხო არც სუბსიდირების მექანიზმი იყო. მაგალითად, იმავე გაიუს გრაკუსის სახალხო ტრიბუნად მუშაობის პერიოდში, კერძოდ, ძვ. წ. 123 წელს შემოღებულ იქნა ე.წ. „პურის კანონი“, რომელიც ითვალისწინებდა რომელიც მოქალაქეებისათვის იაფი პურის დარიგებას.⁶ ასევე, ცნობილია ტიბერიუსის იმპერატორობის ხანაში მოსახლეობისათვის სამწლიანი უპროცენტო სესხის გაცემა სამი მილიონი სესტერციუსის⁷ ოდენობით, რომელიც უნდა მოხმარებოდა მევახშეთა ვალების დაფარვას, რამაც სათანადო შედეგი ვერ გამოიღო.

რაც შეეხება ვაჭრობის (mercatura) განვითარებას, მას სტიმულს აძლევდა რომის სახელმწიფოს მდებარეობა, რის გამოც, მაგალითად, იმდროინდელი ნავსადგური ბრუნდიზიუმი ითვლებოდა მსოფლიო ვაჭრობის ცენტრად. ასევე მნიშვნელოვანი იყო ე.წ. აპიუსის გზის გაყვანა (Via Appia), რომელიც რომს სამხრეთთან აკავშირებდა და ცნობილი იყო, როგორც „რომის გზათა

³ ეს არის პროსკრიპციის პირვანდელი მნიშვნელობა. მოგვიანებით, ლუციუს კორნელიუს სულას დიქტატურის დამყარების შემდეგ, პროსკრიპცია აღნიშნავდა იმ პირთა სიას, რომლებიც ცხადდებოდნენ კანონგარეშედ და რომელთა ქონებაც ექვემდებარებოდა კონფისკაციას. აღსანიშნავია, რომ ლათინურ ენაში სიტყვას „პროსკრიპცია“ (proscriptio) აქვს სწორედ ზემოთ ხსენებული მნიშვნელობები: 1. საჯარო განცხადება ქონების გაყიდვის შესახებ; 2. საჯარო განცხადება კანონგარეშედ ცნობის შესახებ.

⁴ მაგალითად, ცნობილია მარკუს ტულიუს ციცირონის კონსულობის დროს რომის რესპუბლიკის მმართველი ელიტის წინააღმდეგ შეთქმულების მოთავის - კატლინას საარჩევნო დაპირება ე.წ. ახალი ფინანსური სიების (tabulae novae) გამოყენების შესახებ, რომელიც მოიცავდა კერძო პირების ვალების ჩამოწერასა და შემცირებას. ასევე, მსგავსი მექანიზმი იქნა გამოყენებული გაიუს იულიუს კეისრის მმართველობის პერიოდში, რითაც მოვალეებს თითქმის მეოთხედით შეუმცირდათ სასესხო დავალიანებები

⁵ იგულისხმება კანონი, მიღებული ლუციუს ფლავიუსის კონსულობის პერიოდში (კერძოდ, ძვ. წ. 86 წ.), რომელიც ითვალისწინებდა კერძო პირების მიერ ვერცხლის მონეტებით აღებული სესხის სპილენძის მონეტებით დაბრუნების უფლებას, რითაც მნიშვნელოვნად შეუმცირდა რომის მოსახლეობას ვალები.

⁶ აღნიშნული კანონი გაუქმდა სულას მმართველობის პერიოდში (ძვ. წ. 81 წ.), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კვლავ განახლდა იაფი პურის მიწოდება მოსახლეობის გარკვეული ფენისათვის.

⁷ სესტერციუსი (sestertius) წარმოადგენდა ვერცხლის მონეტას, რომელიც გამოიყენებოდა გაცვლის საშუალებად ძველ რომში. ის თავდაპირველად მოიჭრა რომის რესპუბლიკაში, ხოლო მოგვიანებით, რომის იმპერიის, უფრო კონკრეტულად კი პრინციპატის დროს მიმოიქცეოდა სპილენძის მონეტის სახით.

დედოფალი“. განსაკუთრებით განვითარებული იყო საწყლოსნო ტრანსპორტი. გარდა გეოგრაფიული მდებარეობისა, ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა რომაული სამართლის სტაბილური სისტემა, რომელიც იცავდა სავაჭრო კონტრაქტებსა და კერძო საკუთრებას.

რომაელები ვაჭრობდნენ ისეთი პროდუქციით, როგორიცაა: მარცვლეული, ღვინო, ზეთუნის ზეთი, მარილი, თევზი, ტყავი, ტექსტილი, მარმარილო, ფერადი ლითონები და სხვ. სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას ისიც უწყობდა ხელს, რომ როგორც კოლონიებში (პროვინციებში), ასევე მოკავშირე სახელმწიფოებში (ფედერატებში) ვაჭრები გათავისუფლებული იყვნენ გადასახადებისაგან და სხვადასხვა უპირატესობით სარგებლობდნენ. გარდა ამისა, განვითარებული ფორმით არსებობდა ხელოსანთა კავშირები, რომლებიც აერთიანებდა სხვადასხვა პროფესიის კოლეგიებს. მათი მონაწილეობით ყოველ მეცხრე დღეს იმართებოდა ბაზრობა, რომელსაც ნუნდინებს (nundinae) უწოდებდნენ.

სახელმწიფოს მუდმივი საომარი მდგომარეობა მოითხოვდა შესაბამისად გამართულ და ორგანიზებულ ფულად სისტემას. ფული (ლათინურად, pecunia) მომდინარეობს სიტყვიდან pecus, რაც საქონელს (პირუტყვს) ნიშნავს, რადგან რომში თავდაპირველად ფულად ეკვივალენტს ძირითადად წარმოადგენდა ცხვარი. რესპუბლიკის ხანაში მოიჭრა სპილენძის მონეტა – ე.წ. ასი (as/assis), რომელიც იყოფოდა თორმეტ უნციად. შემდგომში განხორციელდა დენომინაცია და შემოდებულ იქნა ვერცხლის დენარი/დენარიუსი (denarius),⁸ რომელიც თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში მონაწილეობდა ფულის მიმოქცევაში. უფრო მოგვიანებით იჭრება ოქროს მონეტებიც (იულიუს კეისრის მმართველობის პერიოდში მოიჭრა შერეული – ოქროსა და ვერცხლის მონეტა). ძვირფასი ლითონების შემცველი მონეტების მოჭრა ზოგჯერ ქმნიდა პრობლემას, რადგან პატრიციუსები და მდიდარი პლებსი მიმართავდნენ თეზავრაციას ანუ მონეტების განძის სახით დაგროვებას, რაც იწვევდა მიმოქცევიდან მათ გაქრობას. აღსანიშნავია, რომ რომაელებს სამონეტო სახელოსნო ჰქონდათ კაპიტოლიუმზე, ქალღმერთ იუნო მონეტას (Iuno Moneta) ტაძრის გვერდით, საიდანაც მომდინარეობს სახელწოდება „მონეტა“.

ძვ. წ. IV საუკუნიდან რომში გაჩნდნენ თანამედროვე ბანკების წინამორბედები ანუ ზარაფები – „მენსარიუსები“ (mensarii, სიტყვიდან mensa – მაგიდა), იგივე სახელმწიფო ბანკირები და „არგენტარიუსები“ (argentarii, სიტყვიდან argentum – ვერცხლი) ანუ კერძო ბანკირები, რომლებიც წარმოდგენილები იყვნენ რომის ფორუმზე. პირველთაგან განსხვავებით, კერძო ბანკირებს საქმიანობისათვის საჭირო სივრცეები აღებული ჰქონდათ სახელმწიფოსაგან სარგებლობის უფლებით. ისინი გასცემდნენ სესხებს (მიწისა და პირუტყვის უზრუნველყოფით), ღებულობდნენ მოქალაქეთა დანაზოგებს, ახორციელებდნენ ნდობით (სატრასტო) და სათამასუქო ოპერაციებს, ახორციელებდნენ ფულის ერთეულთა გადაცვლას, მიმართავდნენ თავდებობას და ა.შ. აღნიშნულის პარალელურად განვითარებული იყო ასევე მეფახშეობა (feneratio), რაც ნობილების (წარჩინებულთა კლასის) და, განსაკუთრებით, ეკვიტების (მხედართა კლასის) პრეროგატივა იყო, რომლებიც გაცემული სესხების სანაცვლოდ მაღალ საპროცენტო სარგებელს იღებდნენ.

⁸ დენარიუსი წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან „deni“, რაც ნიშნავს „ათ-ათს“, რადგან თავდაპირველად ერთი დენარიუსის ღირებულება უტოლდებოდა 10 ასს (as). მოგვიანებით კი დენარიუსის ღირებულებითი თანაფარდობა სხვა სამონეტო ერთეულებთან იყო შემდეგნაირი: სესტერციუსი (sestertius) – 1/4 დენარიუსი, დუპონდიუსი (dupondius) – 1/8 დენარიუსი, ასი (as) – 1/16 დენარიუსი, სემისი ანუ ნახევარ-ასი (semis) – 1/32 დენარიუსი, კვადრანსი (quadrans) – 1/64 დენარიუსი. III საუკუნის დასაწყისში რომის იმპერატორ კარაკალას ფულის რეფორმის შედეგად, დენარიუსის გაუფასურების გამო, მოიჭრა ვერცხლის მონეტა – ანტონინიანი/ანტონინიანუსი (antoninianus) თანაფარდობით: 1 ანტონინიანუსი = 2 დენარიუსი.

რომის სახელმწიფოს ბიუჯეტი – ე.წ. „ერარიუმი“ (იმდროინდელი გაგებით, სახელმწიფო სალარო/ხაზინა) იყოფოდა სამ ნაწილად: საკუთრივ სახელმწიფო ხაზინა (aerarium), სამხედრო ხაზინა (aerarium militare) და იმპერატორის ხაზინა (fiscus Caesaris). სახელმწიფო ხაზინა ექვემდებარებოდა უშუალოდ სენატს და მოიცავდა სხვადასხვა შემოსავალს (გადასახადებიდან,⁹ კონტრიბუციებიდან, კონფისკაციებიდან, სანქციებიდან და სხვა წყაროებიდან), მაგრამ შემოსავლების საბაზისო ნაწილი შედიოდა საზოგადო მიწების კერძო პირებზე სარგებლობაში გადაცემიდან. ვისაც არ ჰქონდა მიწის ნაკვეთი, იხდიდა სულადობრივ გადასახადს (capitatio). სამხედრო ხაზინა, რომელშიც შედიოდა შემოსავლები ქონების გაყიდვიდან, ასევე მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე დაწესებული გადასახადი, ჯარს ხმარდებოდა. რაც შეეხება იმპერატორის ხაზინას, მას ერთპიროვნულად განაგებდა კეისარი შემოწირულობებიდან და პროვინციებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე. ამასთან, პროვინციებიდან¹⁰ აკრეფილ საადგილმამულო გადასახადს, რომელიც მიიმართებოდა სახელმწიფო ხაზინაში, სტიპენდია (stipendium), ხოლო იმპერატორის ხაზინაში – ტრიბუტი (tributum) ეწოდებოდა.

პროვინციებისაგან განსხვავებით, მოკავშირეები იხდიდნენ მხოლოდ სამხედრო ბეგარას. ხაზინაში გადასახადების მობილიზება თავდაპირველად ე.წ. პუბლიკანებს (publicani) ევალებოდათ, რომლებიც გადასახადების აკრეფას საიჯარო საწყისებზე ახორციელებდნენ. მოგვიანებით აღნიშნული სამსახური გაუქმდა კონტროლის დაბალი დონისა და მაქინაციების გამო. რაც შეეხება სახელმწიფო ხარჯებს, ისინი მოიცავდა ძირითადად ჩინოვნიკური აპარატის შენახვას, არმიისა და ფლოტის დაფინანსებას, მასშტაბურ მშენებლობებს, საზეიმო და გასართობ ღონისძიებებს და სხვ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით მკაცრი ზომები იყო დაწესებული სახელმწიფო ფინანსების გაფლანგვისა და სახელმწიფო ქონების დატაცების წინააღმდეგ. ამგვარი რეგულაციები მიზნად ისახავდა ფინანსურ გამჭვირვალობასა და მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნებას, რაც ეკონომიკის სტაბილურობის ერთ-ერთ წინაპირობად ითვლებოდა.

დასკვნა. ანტიკური რომის ეკონომიკა წარმოადგენდა რთულ და წინააღმდეგობრივ სისტემას, რომელმაც თავდაპირველი ნატურალური მეურნეობიდან ფულად-სასაქონლო ურთიერთობებზე გადასვლის შესაბამისად შეიძინა კომპლექსური ხასიათი. კერძოდ, ეტაპობრივად განიცადა ტრანსფორმაცია, დაწესდა სამართლებრივი რეგულაციები, განვითარდა საბაზრო მექანიზმები და ჩამოყალიბდა მოქნილი ფინანსური სისტემა, რაც განაპირობებდა რომის სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებასა და მმართველობის ეფექტიანობას.

⁹ აღსანიშნავია, რომ იმპერატორ კალიგულას (გაიუს იულიუს კეისარ გერმანიკუსი) იმპერატორობის პერიოდში (ახ. წ. 37-41 წწ.) რომის სახელმწიფოში არსებობდა ე.წ. „ტოტალური“ დაბეგვრის სისტემა. კერძოდ, მისი ბრძანებით იბეგრებოდა ნებისმიერი საქმიანობა და მომსახურება, მ.შ. პროსტიტუცია.

¹⁰ პროვინციები რომის სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდიდნენ: ა) ბაჟს საქონლის რომში შეტანასა და რომიდან გატანაზე; ბ) მიწის მოსაკრებელს; გ) მოწეული მოსავლის მეთაედ ნაწილს.

*ECONOMY***ABOUT SOME ASPECTS OF THE ECONOMY OF ANCIENT ROME****BESIK BOLKVADZE***E-mail: besik.bolkvadze@bsu.edu.ge**Batumi Shota Rustaveli State University*

ABSTRACT: The paper refers to the issues of the economy of ancient Rome. It considers the economic problems of the state of Rome, where the scopes of agriculture, trade, money and credit system, finance and budgeting, state property, economic regulations and other problematic economic questions are discussed. Herewith, the author presents corresponding issues in the context of the Roman historian development and draws the parallels with the contemporary economic system.

KEYWORDS: Ancient Rome, Colonate, Nexus, Proscription, Denarius, Erarium, Mensarius, Argentarius.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გორდეზიანი რ., უგულავა გ. რომაული ცივილიზაცია. თბ., 2025.
2. ლობჟანიძე გ. რომის სახელმწიფო და სამართალი, თბ., 2014.
3. სერგეევი ვ. ს. ძველი რომის ისტორიის ნარკვევები. თბ., 1940.
4. უზნაძე დ. რომი. მსოფლიო ისტორია (ნაწილი მესამე). თბ., 2011.
5. წერეთელი ალ. ძველი რომის ისტორია. თბ., 1992.
6. Andreau J. The Economy of the Roman World. Michigan Classical Press, 2016.
7. Geraghty R. M. The Impact of Globalization in the Roman Empire, 200 BC-AD 100. Journal of Economic History, 67, 2007.
8. Hopkins K. Rome, Taxes, Rents and Trade. Kodai: Journal of Ancient History. 6/7, 1995/6.
9. Tchernia A. The Romans and Trade. Oxford University Press, 2016.
10. Temin P. The Roman Market Economy. Princeton University Press, 2013.
11. <https://ancientrome.ru/ius/library/twelve/twelve.html> (Leges Duodecim Tabularum).